# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 242

„ 22 " დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის გამზირზე არსებული სკვერისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის გამზირზე, მეტრო "ნაძალადევის" მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ სკვერს მიენიჭოს ცოტნე დადიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


ცოტნე დადიანის სახელობის სკვერი
ც. დადიანის ქ.
სვანეთის ქ.
ლეჩხუმის ქ.
ხევსურეთის ქ.
სააკაძის ქ.